ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების გაერთიანებული კომისიის სხდომის

ოქმი #5

26 დეკემბერი 12.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლ.არველაძე, ი.ჯიშკარიანი, მ.ამაშუკელი, ა.ხუჯაძე, ქ.ჯოხაძე, ლ.დარახველიძე, ფ.ინჯია, ნ.ლაცაბიძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 6 კომისიის წევრები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ო.გრიგოლია

სხდომის დღის წესრიგი:

1. "ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის დეკემბრის #30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქ.თბილისის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა 2017 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტი, რომელიც ძირითადად ხორციელდება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში მეტროპოლიტენის სადგურების კაპიტალური შეკეთებისა და მოდერნიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების მიზანით.

გ.თალაკვაძის განმარტებით 2017 წლის ბიუჯეტის კორექტირება მიმდინარე ხარჯების ეკონომიებისა და სხვა შემოსავლების მატების, ასევე იმ 14 მილიონიანი ტრანსფერის გამო გახდა აუცილებელი, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ დედაქალაქს უშუალოდ სატრანსპორტო სისტემის განვითარებისთვის გამოუყო.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, ცვლილებების შედეგად, თბილისის მიმდინარე წლის ბიუჯეტის მოცულობა 24 307,6 ათასი ლარით იზრდება და ჯამში 843 134, 5 ათას ლარს შეადგენს. გაზრდილი ბიუჯეტი საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციას და მეტროს ორი ახალი შემადგენლობის დამატებას მოხმარდება. ასევე დამატებითი თანხები გამოიყოფა დასუფთავების ღონისძიებების გატარებისთვისაც.

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებები მცირდება 1 427,2 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია პროგრამებისა /ქვეპროგრამების ფარგლებში მიღებული ეკონომიებით. აღნიშნული პროექტებისათვის თანხები გათვალისწინებულია 2018 წლის ბიუჯეტში.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

ო.გრიგოლიამ, ლ.არველაძემ, ა.ხუჯაძემ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხები:

მომხრე --- 9

წინააღმდეგი --- 0

თავი შეიკავა --- 0

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის მიერ დადებითად იქნა შეფასებული "ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტი და მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოაღნიშნული პროექტის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა

ო.გრიგოლიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია